

**უხსო ქვეყნის  
სასამართლო  
გადანყვანილობის  
საქართველოს  
ტერიტორიაზე ხნობა და  
აღსრულება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანყვანილობები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-2156-შ-48-2013

7 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე AC № 2697/2009) შპს ავიაკომპანია „ე-ს“ (საქართველო, 0158, ქ. თბილისი, აეროპორტი) დაევალა მოცემული გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გადაეხადა სახელმწიფო სანარმო საერთაშორისო აეროპორტი „ბ-ის“ (უკრაინა, 08307, კიევის ოლქი ქ. ბორისპოლი, საერთაშორისო აეროპორტი) ძირითადი ვალის სახით 3764.62 აშშ დოლარი, აგრეთვე, 1332.04 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლო, გადახდის ვადის გადაცილების გამო და 1312.70 აშშ დოლარი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადასახადის ხარჯების ანაზღაურებისათვის, მთლიანობაში 6409.36 აშშ დოლარი.

2013 წლის 27 ივნისს სახელმწიფო სანარმო „ს. ა. „ბ-იმ“, წარმომადგენელ ე. ხ-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 სექტემბრის განჩინებით სახელმწიფო სანარმო „ს. ა. „ბ-ის“ შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩ-

ნევს, რომ სახელმწიფო სანარმო „ს. ა. „ბ-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე AC № 2697/2009) შპს ავიაკომპანია „ე-ს“ (საქართველო, 0158, ქ.თბილისი, აეროპორტი) დაევალა მოცემული გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გადაეხადა სახელმწიფო სანარმო საერთაშორისო აეროპორტი „ბ-ის“ (უკრაინა, 08307, კიევის ოლქი ქ.ბორისპოლი, საერთაშორისო აეროპორტი) ძირითადი ვალის სახით 3764.62 აშშ დოლარი, აგრეთვე, 1332.04 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლო, გადახდის ვადის გაცილების გამო და 1312.70 აშშ დოლარი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადასახადის ხარჯების ანაზღაურებისათვის, მთლიანობაში 6409.36 აშშ დოლარი.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, მოცემული თვალსაზრისით შუამდგომლობა ასევე აკმაყოფილებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახელმწიფო საწარმო საერთაშორისო აეროპორტ „ბის“ შუამდგომლობაზე გადახდილი აქვს 318.97 ლარი. აქედან გამომდინარე, შპს ავიაკომპანია „ე-ს“ უნდა დაეკისროს სახელმწიფო საწარმო საერთაშორისო აეროპორტ „ბის“ მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 318.97 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სახელმწიფო საწარმო „ს. ა. „ბის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს

აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე AC № 269/2009), რომლითაც შპს ავიაკომპანია „ე-ს“ (საქართველო, 0158, ქ.თბილისი, აეროპორტი) დაევალა მოცემული გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გადაეხადა სახელმწიფო სანარმო საერთაშორისო აეროპორტი „ბ-ის“ (უკრაინა, 08307, კიევის ოლქი ქ.ბორისპოლი, საერთაშორისო აეროპორტი) ძირითადი ვალის სახით 3764.62 აშშ დოლარი, აგრეთვე, 1332.04 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლო, გადახდის ვადის გადაცილების გამო და 1312.70 აშშ დოლარი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადასახადის ხარჯების ანაზღაურებისათვის, მთლიანობაში 6409.36 აშშ დოლარი.

3. შპს ავიაკომპანია „ე-ს“ სახელმწიფო სანარმო „ს. ა. „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 318.97 ლარის გადახდა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2187-შ-51-2013

7 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** მშობლის უფლების ჩამორთმევა

**აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის ქ.ქსანთის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ი. ასული ს-უს სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს – ხ. ე. ს. ა-ს ჩამოერთვა მშობ-

ლის უფლებები თავისი არასრულწლოვანი შვილების: ხ. და გ. ს-ის მიმართ; ზემოაღნიშნული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლის უფლებები დაეკისრა მოსარჩელეს.

გ. ს-უმ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ივლისის განჩინებით გ. ს-უს შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ გ. ს-უს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის ქ.ქსანთის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილების ნომერი 89/2005) გ. ი. ასული ს-უს სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს – ხ. ე. ს. ა-ს ჩამოერთვა მშობლის უფლებები თავისი არასრულწლოვანი შვილების: ხ. და გ. ს-ის მიმართ; ზემოაღნიშნული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლის უფლებები დაეკისრა მოსარჩელეს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, საბერძნეთის ქ.ქსანთის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ი. ასული ს-უს სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს – ხ. ე. ს. ა-ს ჩამოერთვა მშობლის უფლებები თავისი არასრულწლოვანი შვილების: ხ. და გ. ს-ის მიმართ, ზემოაღნიშნული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლის უფლებები დაეკისრა მოსარჩელეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ი. ასული ს-უს შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.ქსანთის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს საბერძნეთის ქ.ქსანთის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების ნომერი 89/2005), რომლითაც გ. ი. ასული ს-უს სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს – ხ. ე. ს. ა-ს ჩამოერთვა მშობლის უფლებები თავისი არასრულწლოვანი შვილების: ხ. და გ. ს-ის მიმართ, ზემოაღნიშნული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლის უფლებები დაეკისრა მოსარჩელეს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანჩინება**

№ა-2814-შ-65-2013

7 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2-320/12) ტ. ა. ასული კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. ბ-ს, დაბადებულს ... წლის ... ივნისს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ.ქუთაისში, ტ. ა. ასული კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის – წლის აგვისტოს დაბადებული გ-ს სარჩენად ყველა სახის გამომუშავების ან(და) შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, დაწყებული 2012 წლის 31 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე. დადგინდა, რომ ალიმენტის გადარიცხვა მოხდეს მოსარჩელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე №..., რომელიც გახსნილია ტ. ა. ასული კ-ას სახელზე, ქ.მოსკოვის „სბერბანკის“ ცარიცინსკის ფილიალში, რუსეთი 7978/1308.

ტ. ა. ასულმა კ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ტ. ა. ასულმა კ-ას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებამში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნ



ნეეს, რომ ტ. ა. ასულმა კ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2-320/12) ტ. ა. ასული კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. ბ-ეს, დაბადებულს ... წლის ... იენისს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ.ქუთაისში, ტ. ა. ასული კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული გ-ს სარჩენად ყველა სახის გამომუშავების ან(და) შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, დაწყებული 2012 წლის 31 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებაამდე. დადგინდა, რომ ალიმენტის გადარიცხვა მოხდეს მოსარჩელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე №..., რომელიც გახსნილია ტ. ა. ასული კ-ას სახელზე, ქ.მოსკოვის „სბერბანკის“ ცარიცინსკის ფილიალში, რუსეთი 7978/1308.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 10 იანვარს. ამასთან, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ტ. ა. ასული კ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2-320/12), რომლითაც ტ. ა. ასული კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. ბ-ეს, დაბადებულს ... წლის ... იენისს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ.ქუთაისში, ტ. ა. ასული კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული გ. სარჩენად ყველა სახის გამომუშავების ან(და) შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, დაწყებული 2012 წლის 31 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე. დადგინდა, რომ ალიმენტის გადარიცხვა მოხდეს მოსარჩელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე №..., რომელიც გახსნილია ტ. ა. ასული კ-ას სახელზე, ქ.მოსკოვის სბერბანკის ცარიცინსკის ფილიალში, რუსეთი 7978/1308.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-3140-შ-84-2013

25 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

შვედეთის სტოკჰოლმის საოლქო სასამართლოს მე-2 განყოფილების 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ 1991 წლის 21 სექტემბერს დაქორწინებული მხარეები: მ. ბ-ჯ-ი და ე. ლ. ი-ი (იგივე ე. ი-ი).

მ. ჯ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით მ. ჯ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ მ. ჯ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ შვედეთის სტოკჰოლმის საოლქო სასამართლოს მე-2 განყოფილების 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ 1991 წლის 21 სექტემბერს დაქორწინებული მხარეები: მ. ბ-ჯ-ი და ე. ლ. ი-ი (იგივე ე. ი-ი).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნა-

წლის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, შვედეთის სტოკჰოლმის საოლქო სასამართლოს მე-2 განყოფილების 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც განქორწინდნენ 1991 წლის 21 სექტემბერს დაქორწინებული მხარეები: მ. ბ-ჯ-ი და ე. ლ.ი-ი (იგივე ე. ი-ი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ჯ-ის შუამდგომლობა შვედეთის სტოკჰოლმის საოლქო სასამართლოს მე-2 განყოფილების 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს შვედეთის სტოკჰოლმის საოლქო სასამართლოს მე-2 განყოფილების 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ 1991 წლის 21 სექტემბერს დაქორწინებული მხარეები: მ. ბ-ჯ-ი და ე. ლ. ი-ი (იგივე ე. ი-ი).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2894-შ-72-2013

28 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. დონის როსტოვის პროლეტარსკის რაიონის №2 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2013 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №2-440/2013/С) გაუქმდა 2010 წლის 6 ივლისს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერის №04201030716) ვ.ე. ძე ს-ს (დაბადებული ... წლის ... იანვარს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე) და ს. კ-ს (დაბადებული ... წლის ... ნოემბერს, საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი ...) შორის.

ს. კ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ს. კ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ს. კ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. დონის როსტოვის პროლეტარსკის რაიონის №2 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2013 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით

(საქმე №2-440/2013/С) გაუქმდა 2010 წლის 6 ივლისს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერის №04201030716) ვ. ე. ძე ს-ს (დაბადებული ... წლის ... იანვარს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე) და ს. კ-ს (დაბადებული ... წლის ... ნოემბერს, საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი ...) შორის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ.დონის როსტოვის პროლეტარსკის რაიონის №2 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2013 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №2-440/2013/С), რომლითაც გაუქმდა 2010 წლის 6 ივლისს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერის №04201030716) ვ. ე. ძე ს-ს (დაბადებული ... წლის ... იანვარს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე) და ს. კ-ს (დაბადებული ... წლის ... ნოემბერს, საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი ...) შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ს. კ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.დონის როსტოვის პროლეტარსკის რაიონის №2 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2013 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე №2-440/2013/С) საქართველოს ტერიტორიაზე

ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს რუსეთის ფედერაციის ქ.დონის როსტოვის პროლეტარსკის რაიონის №2 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2013 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №2-440/2013/C), რომლითაც გაუქმდა 2010 წლის 6 ივლისს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერის №04201030716) ვ. ე. ძე ს-ს (დაბადებული ... წლის ... იანვარს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე) და ს. კ-ს (დაბადებული ... წლის ... ნოემბერს, საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი ...) შორის.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2165-შ-49-2013

18 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით ო. ვ-სა და ლ. ს-ეს შორის 2006 წლის 1 ივლისს საქართველოში, ქუთაისში რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ამავე გადაწყვეტილებით მხარეებს შორის განაწილდა საპენსიო-სადაზღვეო ხარჯები.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. ს-ემ და მოითხოვა გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილე-

ბის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ ო. ვ-ის განცხადება განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რომელშიც მონაწილეობდა მოპასუხე და რომელმაც თანხმობა განაცხადა განქორწინებაზე. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2009 წლის 23 ივნისს შევიდა. ლ. ს-ე არის საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ივლისის განჩინებით ლ. ს-ის შუამდგომლობა გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით ო. ვ-სა და ლ. ს-ეს შორის 2006 წლის 1 ივლისს საქართველოში, ქუთაისში რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ამავე გადაწყვეტილებით მხარეებს შორის განაწილდა საპენსიო-სადაზღვეო ხარჯები.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა ლ. ს-ემ და მოითხოვა გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ ო. ვ-ის განცხადება განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რომელშიც მონაწილეობდა მოპასუხე და რომელმაც თანხმობა განაცხადა განქორწინებაზე. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2009 წლის 23 ივნისს შევიდა. ლ. ს-ე არის საქართველოს მოქალაქე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ



შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება მხარეთა განქორწინების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილი უნდა იქნეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ს-ის შუამდგომლობა გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება ლ. ს-სა და ო. ვ-ის განქორწინების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2205-შ-52-2013

18 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ს. პ. ძე გ-სა და ნ. ე. ასულ ბ-ს შორის 2001 წლის 21 თებერვალს ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის ანდრეევკას სასოფლო ადმინისტრაციის მიერ რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. ამავე გადაწყვეტილებით შვილების – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული მ. და ... წლის ... ივლისს დაბადებული გ. საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა ნ. ბ-ის საცხოვრებელი ადგილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ნ. ბ-მა და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების მხარეთა განქორწინების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ ს. გ-ის განცხადება განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია ნ. ბ-ს, მაგრამ მან სასამართლოს წარუდგინა წერილობითი განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ არ არის განქორწინების წინააღმდეგი. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2013 წლის 22 აპრილს შევიდა. ნ. ბ-ი არის საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ივლისის განჩინებით ნ. ბ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის

ილიშევსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ არემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ს. პ. ძე გ-სა და ნ. ე. ასულ ბ-ს შორის 2001 წლის 21 თებერვალს ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის ანდრეევკას სასოფლო ადმინისტრაციის მიერ რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. ამავე გადაწყვეტილებით შვილების – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული მ. და ... წლის ... ივლისს დაბადებული გ. საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა ნ. ბ-ის საცხოვრებელი ადგილი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ნ. ბ-მა და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების მხარეთა განქორწინების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ ს. გ-ის განცხადება განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია ნ. ბ-ს, მაგრამ მან სასამართლოს წარუდგინა წერილობითი განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ არ არის განქორწინების წინააღმდეგი. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2013 წლის 22 აპრილს შევიდა. ნ. ბ-ი არის საქართველოს მოქალაქე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვე-

ვაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება მხარეთა განქორწინების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილი უნდა იქნეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ბ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება ნ. ბ-სა და ს. გ-ის განქორწინების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-3022-შ-79-2013

18 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** შვილად აყვანა

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგინდა ... წლის ... აგვისტოს დაბადებული საქართველოს მოქალაქის გ. ო-ის გერმანიის მოქალაქე ი. შ-ლის მიერ შვილად აყვანა. შესაბამისად, შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ლი, ასევე განაწილდა მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა გ. ო-ემ და მოითხოვა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გერმანიის შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 8 აგვისტოს, ასევე ირკვევა რომ, გადაწყვეტილება აღსრულებულია და საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რა დროსაც მოსმენილ იქნა ორივე მხარის მოსაზრებები.

შუამდგომლობას თან ერთვის ი.შ-ლის განცხადება, რომლითაც დგინდება, რომ ის ინფორმირებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში გ. ო-ის შუამდგომლობის განხილვის შესახებ და არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით გ. ო-ის შუამდგომლობა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის

სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგინდა ... წლის ... აგვისტოს დაბადებული საქართველოს მოქალაქის გ. ო-ის გერმანიის მოქალაქე ი. შ-ლის მიერ შვილად აყვანა. შესაბამისად, შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ლი, ასევე განიხილდა მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა გ. ო-ემ და მოითხოვა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გერმანიის შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 8 აგვისტოს, ასევე ირკვევა რომ, გადაწყვეტილება აღსრულებულია და საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რა დროსაც მოსმენილ იქნა ორივე მხარის მოსაზრებები.

შუამდგომლობას თან ერთვის ი. შ-ის განცხადება, რომლითაც დგინდება, რომ ის ინფორმირებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში გ. ო-ის შუამდგომლობის განხილვის შესახებ და არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს

ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტზე, რომლითაც დასტურდება, რომ გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტის ყველა ეტაპზე საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობს ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის შესახებ მხარის შუამდგომლობა, პროცესუალური თვალსაზრისით, აღიარებითი სარჩელია, რომლის დაკმაყოფილებისათვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, გადამწყვეტი მოთხოვნის ნამდვილი იურიდიული ინტერესია.

მოცემულ შემთხვევაში გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, უკვე აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი განმეორებით აღსასრულებლად მიქცევის წინაპირობა აღარ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ამავე გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევაზე მხარეს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ო-ის შუამდგომლობა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ... წლის ... აგვისტოს დაბადებული საქართველოს მოქალაქის გ. ო-ის გერმანიის მოქალაქე ი. შ-ის მიერ შვილად აყვანა. შესაბამისად, შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ი.

3. გ. ო-ის შუამდგომლობა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-1851-შ-42-2013

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ოდესის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №22/132-09-4170) კომუნალური საწარმო „ს. ა. ო-ის“ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა: შპს ავიაკომპანია „ე. ლ-ს“ კომუნალური საწარმო „ს. ა. ო-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა: ვალის ძირითადი თანხის – 9800 გრივნის და 48 კაპიკის, ინფლაციის თანხის – 382 გრივნის და 20 კაპიკის, წლიური თანხის 3%-ის – 116 გრივნის და 77 კაპიკის, მთლიანობაში 11208 გრივნისა და 68 კაპიკის გადახდა, მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად გაღებული თანხის 112 გრივნისა და საქმის განხილვისათვის საჭირო საინფორმაციო-ტექნიკური ხარჯების 118 გრივნის ანაზღაურება.

კომუნალურმა საწარმო „ს. ა. ო-ამ“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ კომუნალური საწარმო „ს. ა. ო-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ოდესის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №22/132-09-4170) კომუნალური საწარმო „ს. ა. ო-ის“ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა: შპს ავიაკომპანია „ე. ლ-ს“ კომუნა-

ლური სანარმო „ს. ა. ო-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა: ვალის ძირითადი თანხის – 9800 გრივნის და 48 კაპიკის, ინფლაციის თანხის – 382 გრივნის და 20 კაპიკის, წლიური თანხის 3%-ის – 116 გრივნის და 77 კაპიკის, მთლიანობაში 11208 გრივნისა და 68 კაპიკის გადახდა, მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად გაღებული თანხის 112 გრივნისა და საქმის განხილვისათვის საჭირო საინფორმაციო-ტექნიკური ხარჯების 118 გრივნის ანაზღაურება.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 15 მარტს. ამასთან, იგი უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის ოდესის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №22/132-09-4170), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ოდესის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება.

### **საკრეზოლოგო ნაწილი:**

საკრეზოლოგო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კომუნალური სანარმო „ს. ა. ო-ის“ შუამდგომლობა უკრაინის ოდესის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №22/132-09-4170) ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ოდესის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №22/132-09-4170), რომლითაც კომუნალური სანარმო „ს. ა. ო-ის“ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა: შპს ავიაკომპანია „ე. ლ-ს“ კომუნალური სანარმო „ს. ა. ო-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა: ვალის ძირითადი თანხის – 9800 გრივნის და 48 კაპიკის, ინფლაციის თანხის – 382 გრივნის და 20 კაპიკის, წლიური თანხის 3%-ის – 116 გრივნის და 77 კაპიკის, მთლიანობაში 11208 გრივნისა და 68 კაპიკის გადახდა, მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად გაღებული თანხის 112 გრივნისა და საქმის განხილვისათვის საჭირო საინფორმაციო-ტექნიკური ხარჯების 118 გრივნის ანაზღაურება.

3. საკრეზოლოგო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1180-შ-24-2013

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ს. ა. ასული პ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა: ე. გ-ს, დაბადებულს ... წლის... მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. ზუგდიდში მისამართზე: დ. ა-ის ქ., სახლი 12, პირადი ნომერი № ..., დაეკისრა ალიმენტი ს. ა. ასული პ-ოს, დაბადებულის ... წლის ... დეკემბერს სასარგებლოდ, ე.ე.ს ასული გ-ის, დაბადებულის ... წლის ... ოქტომბერს, სარჩენად 400 გრივნის ოდენობით ყოველთვიურად, კანონის შესაბამისი ინდექსაციის მიღებით და ბავშვის სრულწლოვანებამდე, დაწყებული 2012 წლის 18 ივნისიდან.

ს. ა. ასულმა პ-ომ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 აპრილის განჩინებით ს. ა. ასული პ-ოს შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკაცაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ს. ა. ასული პ-ოს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილე-

ბით ს. ა. ასული პ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა: ე. გ-ს, დაბადებულს ... წლის ... მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. ზუგდიდში მისამართზე: დ. ა-ის ქ., სახლი 12, პირადი ნომერი № ..., დაეკისრა აღიმენტი ს. ა. ასული პ-ოს, დაბადებულის ... წლის ... დეკემბერს სასარგებლოდ, ე. ე-ს ასული გ-ის, დაბადებულის ... წლის ... ოქტომბერს, სარჩენად 400 გრივნის ოდენობით ყოველთვიურად, კანონის შესაბამისი ინდექსაციის მიღებით და ბავშვის სრულწლოვანებამდე, დაწყებული 2012 წლის 18 ივნისიდან.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 27 აგვისტოს. ამასთან, იგი უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ს. ა. ასული პ-ოს შუამდგომლობა უკრაინის ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ს. ა. ასული პ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა: ე. გ-ს, დაბადებულს ... წლის ... მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.ზუგდიდში მისამართზე: დ.ა-ის ქ., სახლი 12, პირადი ნომერი № ..., დაეკისრა ალიმენტი ს. ა. ასული პ-ოს, დაბადებულის ... წლის ... დეკემბერს სასარგებლოდ, ე. ე.ს ასული გ-ის, დაბადებულის ... წლის ... ოქტომბერს, სარჩენად 400 გრივნის ოდენობით ყოველთვიურად, კანონის შესაბამისი ინდექსაციის მიღებით და ბავშვის სრულწლოვანებამდე, დაწყებული 2012 წლის 18 ივნისიდან.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-1289-შ-27-2013

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** სესხის დაბრუნება

**აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის ქ.ოდესის მალინოვკას რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ე. (ე.) ტ-ას სარჩელი მოპასუხე თ. გ-ას მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილება, თ. გ-ას ე. ტ-ას სასარგებლოდ დაეკისრა: ვალის გადახდა 191690.40 გრივნის ოდენობით; ვადაგადაცილებული თანხის წლიური სამი პროცენტი 16264.32 გრივნის ოდენობით და გადახდის ვადის გადაცილების პერიოდის ინფლაციის თანხა 38338.08 გრივნის ოდენობით, მთლიანობაში 246292.80 გრივნის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით თ. გ-ას ე. ტ-ას სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯების გადახდა 1917.00 გრივნის ოდენობით.

ე. ტ-ამ წარმომადგენელ მ. წ-ის მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით ე. (ე.) ტ-ას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. განჩინებით დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, ამავდროულად, სასამართლომ განუმარტა თ. გ-ას, რომელსაც გაეგზავნა შუამდგომლობის და თანდართული მასალების ასლები მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, რომ მას უფლება ჰქონდა, წარმოედგინა მოსაზრება ე. (ე.) ტ-ას შუამდგომლობის თაობაზე აღნიშ-

ნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოგვიანებით, თ. გ-ამ უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება ე. (ე.) ტ-ას შუამდგომლობასთან დაკავშირებით, სადაც იგი აღნიშნავს, რომ 2012 წლის მაისის თვეში მიიღო უწყება უკრაინის სასამართლოდან, რომლითაც მას ეცნობა სასამართლო სხდომის 2012 წლის 7 ივნისს დანიშვნის თაობაზე. ამის შემდგომ, მოპასუხემ ე. ტ-ას სარჩელთან დაკავშირებით გააგზავნა წერილობითი პასუხი, სადაც მიუთითა უკრაინაში სასამართლო პროცესზე გამგზავრების ფინანსური შესაძლებლობის არქონაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გამოიტანა დაუსრულებელი გადაწყვეტილება და სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.

მოსაზრების ავტორს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულით დაირღვა მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის უფლებები, ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით და სრულად მოახდინოს თავისი საპროცესო უფლებების რეალიზება. აქედან გამომდინარე, იგი ითხოვს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილოს ე. ტ-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ.ოდესის მალინოვკას რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის დაუსრულებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე და სადავო თანხის დაკისრების შესახებ საქმის განხილვა მოხდეს საქართველოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ე. (ე.) ტ-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ.ოდესის მალინოვკას რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის დაუსრულებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ქ.ოდესის მალინოვკას რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის დაუსრულებელი გადაწყვეტილებით ე. (ე.) ტ-ას სარჩელი მოპასუხე თ. გ-ას მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, თ. გ-ას ე. ტ-ას სასარგებლოდ დაეკისრა: ვალის გადახდა 191690.40 გრივნის ოდენობით; ვადაგადაცილებული თანხის წლიური სამი პროცენტი 16264.32 გრივნის ოდენობით და გადახდის ვადის გადაცილების პერიოდის ინფლაცი-



ის თანხა 38338.08 გრივნის ოდენობით, მთლიანობაში 246292.80 გრივნის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით თ. გ-ას ე. ტ-ას სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯების გადახდა 1917.00 გრივნის ოდენობით.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის ქ.ოდესის მალინოვკას რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. (ე.) ტ-ას სარჩელი მოპასუხე თ. გ-ას მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, თ. გ-ას ე. ტ-ას სასარგებლოდ დაეკისრა: ვალის გადახდა 191690.40 გრივნის ოდენობით; ვადაგადაცილებული თანხის წლიური სამი პროცენტი 16264.32 გრივნის ოდენობით და გადახდის ვადის გადაცილების პერიოდის ინფლაციის თანხა 38338.08 გრივნის ოდენობით, მთლიანობაში 246292.80 გრივნის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით თ. გ-ას ე. ტ-ას სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯების გადახდა 1917.00 გრივნის ოდენობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

მოპასუხე თ. გ-ას მოსაზრებაში მითითებულ გარემოებებთან მიმართებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად, რადროსაც ამონმებს დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან შუამდგომლობის ფორმალურ შესაბამისობას. აღნიშნულ პროცესში უზენაესი სასამართლო არ არკვევს უცხო ქვეყ-

ნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. ამასთან, გარემოებები, რომლებიც მოსაზრებაშია მოყვანილი, არ მიუთითებენ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში თ. გ-ას მიუწვევლობის და სხდომის შესახებ მისი არაინფორმირების ფაქტს. პირიქით, მოპასუხე აღნიშნულს ადასტურებს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ მან უკრაინის სასამართლოს აცნობა ფინანსური შესაძლებლობის არქონის გამო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. ეს გარემოება კი ვერ გახდება საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან მოპასუხის უფლებების დარღვევულად მიჩნევის შესახებ დასკვნის გამოტანის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის მოსაზრებაში მოყვანილი გარემოებები, ასევე, მისი თხოვნა სადავო თანხის დაკისრების მოთხოვნით აღძრული დავის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილვის თაობაზე, ვერ გახდება მოცემული განჩინების მსჯელობის საგანი და ვერ განაპირობებს ე. ტ-ას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. გ-ას შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. გ-ას შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს;
2. ე. (ე.) ტ-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ.ოდესის მალინოვკას რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;
3. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ.ოდესის მალინოვკას რაიონული სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. (ე.) ტ-ას სარჩელი მოპასუხე თ. გ-ას მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, თ. გ-ას ე. ტ-ას სასარგებლოდ

დაეკისრა: ვალის გადახდა 191690.40 გრივნის ოდენობით; ვადაგადაცილებული თანხის წლიური სამი პროცენტი 16264.32 გრივნის ოდენობით და გადახდის ვადის გადაცილების პერიოდის ინფლაციის თანხა 38338.08 გრივნის ოდენობით, მთლიანობაში 246292.80 გრივნის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით თ. გ-ას ე. ტ-ას სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯების გადახდა 1917.00 გრივნის ოდენობით.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-1427-შ-30-2013

8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის შტუტგარტის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №24 F 1840/12) შეწყდა მხარეებს: ს. მ-ა-ის (ქალიშვილობის გვარი მ) და ბ. ა-ის შორის, 2009 წლის 20 აგვისტოს, შტუტგარტ-ბად კანშტატის მმარის ბიუროს თანამშრომლის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი E 197/2009).

ს. მ-მა, წარმომადგენელ ნ. ბ-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2013 წლის 27 მაისის განჩინებით ს. მ-ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ს. მ-ა-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის შტუტგარტის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №24 F 1840/12) შეწყდა მხარეებს: ს. მ-ა-ის (ქალიშვილობის გვარი მ) და ბ. ა-ის შორის, 2009 წლის 20 აგვისტოს, შტუტგარტ-ბად კანშტატის მმარის ბიუროს თანამშრომლის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი E 197/2009).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის შტუტგარტის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №24 F 1840/12) იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა მხარეებს: ს. მ-ა-ის (ქალიშვილობის გვარი მ) და ბ. ა-ის შორის, 2009 წლის 20 აგვისტოს, შტუტგარტ-ბად კანშტატის მმარის ბიუროს თანამშრომლის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი E 197/2009), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ს. მ-ა-ის (წარმომადგენელი ნ. ბ-ი) შუამდგომლობა გერმანიის შტუტგარტის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე №24 F 1840/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის შტუტგარტის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №24 F 1840/12) იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა მხარეებს: ს. მ-ა-ის (ქალიშვილობის გვარი მ) და ბ. ა-ის შორის, 2009 წლის 20 აგვისტოს, შტუტგარტ-ბად კანშტატის მმარის ბიუროს თანამშრომლის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი №E 197/2009);

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-658-შ-6-2013

8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

მოსამართლე: პაატა ქათამაძე

**დავის საგანი:** რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე №A40-82612/09-93-667) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ა. ე-ს“ დაეკისრა ვალის გადახდა ფედერალური სახელმწიფო უნიტა-

რული სანარმო „საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია სახელმწიფო კორპორაცია რუსეთის ფედერაციაში“ სასარგებლოდ 403704 რუბლისა და 7 კაპიკის ოდენობით, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის – 9574 რუბლისა და 08 კაპიკის გადახდა.

ფედერალურმა სახელმწიფო უნიტარულმა სანარმო „საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია სახელმწიფო კორპორაციამ რუსეთის ფედერაციაში“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 მარტის განჩინებით ფედერალურ სახელმწიფო უნიტარულ სანარმო „საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია სახელმწიფო კორპორაციას რუსეთის ფედერაციაში“ დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში წარმოედგინა: ა. 12111.141 რუბლის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი; ბ. დამონმებული ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადანყვეტილების (საქმე №A40-82612/09-93-667) აღსრულება არ მომხდარა ამ განჩინების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, შუამდგომლობის ავტორს განემარტა, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა დარჩებოდა გაუხილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 მარტის განჩინებით ფედერალურ სახელმწიფო უნიტარულ სანარმო „საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია სახელმწიფო კორპორაციას რუსეთის ფედერაციაში“ დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში წარმოედგინა: ა. 12111.141 რუბლის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი; ბ. დამონმებული ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადანყვეტილების (საქმე №A40-82612/09-

93-667) აღსრულება არ მომხდარა ამ განჩინების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე განჩინებით შუამდგომლობის ავტორს განემარტა დადგენილი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგი – შუამდგომლობის განუხილველად დატოვება.

საქმის მასალების თანახმად, ფედერალურ სახელმწიფო უნიტარულ საწარმო „საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია სახელმწიფო კორპორაციას რუსეთის ფედერაციაში“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 მარტის განჩინებისა და მისი რუსული თარგმანის ასლები 2013 წლის 28 მარტს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა შუამდგომლობაში დასახელებულ მისამართზე – რუსეთის ფედერაცია, ქ.მოსკოვი, ლ-ის გამზირი 37, კორპუსი 7. განჩინება ადრესატს ჩაბარდა 2013 წლის 20 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 15-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2013 წლის 21 მაისს და დასრულდა 2013 წლის 4 ივნისს. აღნიშნულ ვადაში შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსთვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედება, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოთითხსენებულ ნორმათა დანაწესი უნდა გავრცელდეს ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის მიმართაც.

რამდენადაც ფედერალურ სახელმწიფო უნიტარულ საწარმო „საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია სახელმწიფო კორპორა-

ციას რუსეთის ფედერაციაში“ უზენაესი სასამართლოს განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ შეუვსია, ამიტომ მისი შუამდგომლობა განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 284-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე, 68-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ფედერალური სახელმწიფო უნიტარული სანარმო „საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია სახელმწიფო კორპორაციის რუსეთის ფედერაციაში“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე №A40-82612/09-93-667) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დატოვებულ იქნეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-693-შ-9-2013

8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თურქეთის რესპუბლიკის ქადიქოსის №2 საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენით (განაჩენის №2012/1036) განქორწინდნენ მოპასუხე ე. თ-ან – რეგისტრირებული სტამბოლის გუბერნიაში, ქადიქოსის ოლქის სოფ./უბან ქოშუიოლუში, ტომი №14-ში, სექცია №578-ში – მამის სახელი: დ., დედის სახელი: ი., დაბადებული სტამბოლში ...ნ., თურქეთის მოქალაქის პ/ნ: ... და მოსარჩელე, საქართველოს მოქალაქე ს. თ-ან, მამის სახელი: ჯ., დედის სახელი: ლ., დაბადებული ...ნ. თბილისში/საქართველო.

ს. თ-თ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 მარტის განჩინებით ს. თ-თ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ს. თ-თ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის ქადიქოსის №2 საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენით (განაჩენის №2012/1036) განქორწინდნენ მოპასუხე ე. თ-ან – რე-

გისტრირებული სტამბოლის გუბერნიაში, ქადიქოის ოლქის სოფ./უზან ქოშუიოლუში, ტომი №14-ში, სექცია №578-ში – მამის სახელი: დ., დედის სახელი: ი., დაბადებული სტამბოლში ...ნ., თურქეთის მოქალაქის პ/ნ: ... და მოსარჩელე, საქართველოს მოქალაქე ს. თ-თ-ან, მამის სახელი: ჯ., დედის სახელი: ლ., დაბადებული ... ნ. თბილისში/საქართველო.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, თურქეთის რესპუბლიკის ქადიქოის №2 საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენი (განაჩენის №2012/1036) იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ მოპასუხე ე. თ-ან – რეგისტრირებული სტამბოლის გუბერნიაში, ქადიქოის ოლქის სოფ./უზან ქოშუიოლუში, ტომი №14-ში, სექცია №578-ში – მამის სახელი: დ., დედის სახელი: ი., დაბადებული სტამბოლში ...ნ., თურქეთის მოქალაქის პ/ნ: ... და მოსარჩელე, საქართველოს მოქალაქე ს. თ-თ-ან, მამის სახელი: ჯ., დედის სახელი: ლ., დაბადებული ...ნ. თბილისში/საქართველო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ს. თ-თ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქადიქოის №2 საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენის (განაჩენის №2012/1036) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს თურქეთის რესპუბლიკის ქადიქოსის №2 საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენი (განაჩენის №2012/1036) იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ მოპასუხე ე. თ-ან – რეგისტრირებული სტამბოლის გუბერნიაში, ქადიქოსის ოლქის სოფ./უბან ქოშუიოლუში, ტომი №14-ში, სექცია №578-ში – მამის სახელი: დ., დედის სახელი: ი., დაბადებული სტამბოლში ...წ., თურქეთის მოქალაქის პ/ნ:... და მოსარჩელე, საქართველოს მოქალაქე ს. თ-ან, მამის სახელი: ჯ., დედის სახელი: ლ., დაბადებული ...წ. თბილისში/საქართველო;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-1935-შ-44-2013

16 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ბონის საუბნო სასამართლოს 2013 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით შეწყდა 2011 წლის 11 მარტს ბონის მმაჩის ბიუროში ი. ს-სა (კ-ს-სა) და ხ- კ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი № E 126/2011). აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 16 მაისს.

ე. კ-ს-ის წარმომადგენელმა ი. ხ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ბონის საუბნო სასამართლოს 2013 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების სა-

ქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ივნისის განჩინებით ი. კ-ს-ის წარმომადგენელ ი. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბონის საუბნო სასამართლოს 2013 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. კ-ს-ის წარმომადგენელ ი. ხ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ბონის საუბნო სასამართლოს 2013 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით შეწყდა 2011 წლის 11 მარტს ბონის მმაჩის ბიუროში ი. ს-სა (კ-ს-სა) და ხ- კ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი № E 126/2011). აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 16 მაისს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ბონის საუბნო სასამართლოს 2013 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. კ-ს-ის წარმომადგენელ ი. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბონის საუბნო სასამართლოს 2013 წლის 6 მაისის გადაწ-

ყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის ბონის საუბნო სასამართლოს 2013 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა 2011 წლის 11 მარტს ბონის მმარის ბიუროში ი. ს-სა (კ-ს-სა) და ხ- კ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი № E 126/2011).

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-4719-შ-93-2012

7 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. კ-ს სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე მყოფი შვილის – მ. კ-ას სარჩენად 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2011 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდისათვის დაეკისრა ერთდროულად 5681600 რუბლის გადახდა. დაკისრებული თანხის გადარიცხვა ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა მოხდეს „მინსკის სახელმწიფო ლინგვისტიკური უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშზე ჩარიცხვის მეშვეობით. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ პირველი საბაზო სიდიდის სახელმწიფო ბაჟის – 100000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების – 1500 რუბლის გადახდა. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძა-

ლაში შევიდა 2012 წლის 14 აგვისტოს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ვინაიდან მოვალე ცხოვრობს საქართველოში.

მინსკის სახელმწიფო ლინგვისტიკური უნივერსიტეტის რექტორის – ნ. ბ-ამ და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ნ-ამ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით „მინსკის სახელმწიფო ლინგვისტიკური უნივერსიტეტის“ რექტორის – ნ. ბ-სა და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ნ-ას შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ „მინსკის სახელმწიფო ლინგვისტიკური უნივერსიტეტის“ რექტორის – ნ. ბ-სა და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ნ-ას შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. კ-ს სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე მყოფი შვილის – მ. კ-ას სარჩენად 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2011 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდისათვის დაეკისრა ერთდროულად 5681600 რუბლის გადახდა. დაკისრებული თანხის გადარიცხვა ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა მოხდეს „მინსკის სახელმწიფო ლინგვისტიკური უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშზე ჩარიცხვის მეშვეობით. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ პირველი საბაზო სიდიდის სახელმწიფო ბაჟის – 100000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების – 1500 რუბლის გადახდა. აღნიშნული გან-

ჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 14 აგვისტოს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ვინაიდან მოვალე ცხოვრობს საქართველოში.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის 1993 წლის კონვენციის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდევინების საქმეთა მიმართ გამოიყენება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საცხოვრისი პირს, რომელიც ალიმენტის მიღებას ითხოვს.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორი ცხოვრობს ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. „მინსკის სახელმწიფო ლინგვისტიკური უნივერსიტეტის“ რექტორის – ნ. ბ-სა და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ნ-ას შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლ-

ქის ლოგოსის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოსის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. კ.-ს სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე მყოფი შვილის – მ. კ.-ას სარჩენად 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2011 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდისათვის დაეკისრა ერთდროულად 5681600 რუბლის გადახდა. დაკისრებული თანხის გადარიცხვა ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა მოხდეს „მინსკის სახელმწიფო ლინგვისტიკური უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშზე ჩარიცხვის მეშვეობით. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ პირველი საბაზო სიდიდის სახელმწიფო ბაჟის – 100000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების – 1500 რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-1589-შ-35-2013

26 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსრულებელი გადაწყვეტილებით შეწყდა 1998 წლის 10 იანვარს ქ.რუსთავის სრ



ქორწინების სახლში მ. მ-სა და ო. მ-ს (ქორწინებამდელი გვარი ე-ა) შორის რეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერი №08. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 9 ოქტომბერს.

ი. მ-ის წარმომადგენელმა დ. ხ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

2013 წლის 28 მაისს ი. მ-ის წარმომადგენელმა დ. ხ-ამ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 3 ივნისის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ დ. ხ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. მ-ის წარმომადგენელ დ. ხ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შეწყდა 1998 წლის 10 იანვარს ქ.რუსთავის სრ ქორწინების სახლში მ. მ-სა და ო. მ-ს (ქორწინებამდელი გვარი ე-ა) შორის რეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერი №08. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 9 ოქტომბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მო-

ცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. მ-ის წარმომადგენელ დ. ხ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა 1998 წლის 10 იანვარს ქ.რუსთავის სრ ქორწინების სახლში მ. მ-სა და ო. მ-ს (ქორწინებამდელი გვარი ე-ა) შორის რეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერი №08.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-2586-შ-59-2013

3 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მშობლის უფლების ჩამორთმევა, არასრულ-  
წლოვანი ბავშვის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გა-  
ცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ბელორეჩენ-  
სკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის დაუსწრე-  
ბელი გადაწყვეტილებით ლ. კ. ა-ს ჩამოერთვა მშობლის უფლე-  
ბა ... წლის ... დეკემბერს სირიის არაბთა რესპუბლიკის ლატაკი-  
ის პროვინციის ქ. ჯ-ი დაბადებული არასრულწლოვანი შვილის,  
ჯ. ა-ის მიმართ, ხოლო მშობლის უფლების ჩამორთმევის გამო,  
არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის,  
ვინაიდან აღარ არსებობდა მამის თანხმობის აუცილებლობა,  
სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მო-  
მართა ე. გ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილე-  
ბის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დროებითი  
ბინადრობის მონუმობის თანახმად, მას საქართველოს ტერიტო-  
რიაზე გააჩნია ადგილსამყოფელი.

დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ქართულენოვა-  
ნი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ მოპასუხე ინფორ-  
მირებული იყო საქმის განხილვაზე, თუმცა არ გამოცხადებუ-  
ლა, დგინდება ის გარემოებაც, რომ მოპასუხის წარმომადგენე-  
ლი მონაწილეობდა საქმის განხილვაში, რომელმაც სარჩელის  
დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების თანახმად, ის კანონიერ ძა-

ლაში შესულია 2003 წლის 7 მაისიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ე. გ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ბელორეჩენსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. გ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ბელორეჩენსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ბელორეჩენსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. კ. ა-ს ჩამოერთვა მშობლის უფლებები ... წლის ... დეკემბერს სირიის არაბთა რესპუბლიკის ლატაკიის პროვინციის ქ. ჯ-ი დაბადებული არასრულწლოვანი შვილის, ჯ. ა-ის მიმართ, ხოლო მშობლის უფლების ჩამორთმევის გამო, არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის, ვინაიდან აღარ არსებობდა მამის თანხმობის აუცილებლობა, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. გ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დროებითი ბინადრობის მოწმობის თანახმად, მას საქართველოს ტერიტორიაზე გააჩნია ადგილსამყოფელი.

დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვაზე, თუმცა არ გამოცხადებულა, დგინდება ის გარემოებაც, რომ მოპასუხის წარმომადგენელი მონაწილეობდა საქმის განხილვაში, რომელმაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების თანახმად, ის კანონიერ ძალაში შესულია 2003 წლის 7 მაისიდან.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის

სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ბელორეჩენსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ლ. კ. ა-ის ... წლის ... დეკემბერს სირიის არაბთა რესპუბლიკის ლატაკიის პროვინციის ქ.ჯ-ი დაბადებული არასრულწლოვანი შვილის, ჯ. ა-ის მიმართ, მშობლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ე. გ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ბელორეჩენსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ბელორეჩენსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ლ. კ. ა-ის ... წლის ... დეკემბერს სირიის არაბთა რესპუბლიკის ლატაკიის პროვინციის ქ. ჯ-ი დაბადებული არასრულწლოვანი შვილის, ჯ. ა-ის მიმართ, მშობლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-3394-შ-92-2013

20 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის გიოპინგენის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ანულირებული იქნა გ. გ-სა და ვ. ხ-ს შორის .... წ. თელავი/საქართველოს მმჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №.....).

გ. გ-ის წარმომადგენელმა გ. ფ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის გიოპინგენის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ნოემბრის განჩინებით გ. გ-ის წარმომადგენელ გ. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის გიოპინგენის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### სამოტივაცო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის გიოპინგენის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის გიოპინგენის რაიონული სასამართლოს 2012 წლის

16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ანულირებული იქნა გ. გ-სა და ვ. ხ-ს შორის ... ნ. თელავი/საქართველოს მმაჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №...). საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 20 დეკემბრიდან. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიაში კანონის შესაბამისად.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის გიოპინგენის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის გიოპინგენის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის გიოპინგენის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ანულირებული იქნა გ. გ-სა

და ვ. ხ-ს შორის ... ნ. თელავი/საქართველოს მმჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №...).

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-3256-შ-85-2013

4 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ერთობლივ საწარმო „G. B-ს“ (საქართველო, ქ.ქუთაისი, ს-ას ქ.№2) ღია სააქციო საზოგადოება „ბ. ო-ის“ მმართველი კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 35 343,58 აშშ დოლარის გადახდა, მათ შორის 20 500,01 აშშ დოლარი – ძირითადი დავალიანება, ხოლო 14 843,57 აშშ დოლარი – ვალდებულების შესრულების ვადის (17.07.2012 წლიდან 24.10.2012 წლამდე) გადაცილებისათვის ჯარიმა, ამავე გადაწყვეტილებით ერთობლივ საწარმო „G. B-ს“ ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – (1451,35 აშშ დოლარის ეკვივალენტი) 12 684 836 ბელარუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ბელარუსის რესპუბლიკის საგადასახადო და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციამ, ასევე ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესმა სამეურნეო სასამართლომ სახელმწიფო ბი-



უჯგუცის სასარგებლოდ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

დავალიანებისა და ჯარიმის დაკისრების ნაწილში ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვეს ასევე შპს ჰოლდინგ „ბ. ო-ის“ მმართველი კომპანიის ფილიალ „...“ და ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესმა სამეურნეო სასამართლომ.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებითა და თანდართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, არ არის აღსრულებული მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე (იხ. სასამართლო ბრძანებები), დასტურდება ის გარემოებაც, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა (იხ. სასამართლო გადაწყვეტილება, შეტყობინება დოკუმენტის ჩაბარების შესახებ).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ბელარუსის რესპუბლიკის საგადასახადო და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციის, ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოსა და შპს ჰოლდინგ „ბ. ო-ის“ მმართველი კომპანიის ფილიალი „...“, შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელარუსის რესპუბლიკის საგადასახადო და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციის, ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოსა და შპს ჰოლდინგ „ბ. ო-ის“ მმართველი კომპანიის ფილიალი „...“, შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ერთობლივ სა-

წარმო „G. B-ს“ (საქართველო, ქ.ქუთაისი, ს-ას ქ.№2) ღია სააქციო საზოგადოება „ბ. ო-ის“ მმართველი კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 35 343,58 აშშ დოლარის გადახდა, მათ შორის 20 500,01 აშშ დოლარი – ძირითადი დავალიანება, ხოლო 14 843,57 აშშ დოლარი – ვალდებულების შესრულების ვადის (17.07.2012 წლიდან 24.10.2012 წლამდე) გადაცილებისათვის ჯარიმა, ამავე გადაწყვეტილებით ერთობლივ საწარმო „G. B-ს“ ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – (1451,35 აშშ დოლარის ეკვივალენტი) 12 684 836 ბელარუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა ბელარუსის რესპუბლიკის საგადასახადო და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციამ, ასევე ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესმა სამეურნეო სასამართლომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

დავალიანებისა და ჯარიმის დაკისრების ნაწილში ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვეს ასევე შპს ჰოლდინგ „ბ. ო-ის“ მმართველი კომპანიის ფილიალ „...“ და ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესმა სამეურნეო სასამართლომ.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ: ა) ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში; ბ) გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ არის აღსრულებული; გ) მოპასუხე საქმის განხილვის დრისა და ადგილის თაობაზე ინფორმირებული იყო სათანადოდ, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს

ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ბელარუსის რესპუბლიკის საგადასახადო და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციის, ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოსა და შპს ჰოლდინგ „ბ. ო-ის“ მმართველი კომპანიის ფილიალი „...“, შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება ერთობლივი საწარმო „G. B-ისათვის“ ღია სააქციო საზოგადოება „ბ. ო-ის“ მმართველი კომპანიის სასარგებლოდ 35 343,58 აშშ დოლარის, ხოლო ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – (1451,35 აშშ დოლა-

რის ეკვივალენტი) 12 684 836 ბელარუსული რუბლის დაკისრების ნაწილში.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2799-შ-64-2013

5 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** შვილად აყვანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ჰ. ბ-მა (დაბადებული ...წ., გერმანიის მოქალაქე) და უ. ბ-მა (დაბადებული ...წ., გერმანიის მოქალაქე) შვილად აიყვანეს საქართველოს მოქალაქე ე. ხ-ი (დაბადებული ... წ., ქვემო ქედაში, საქართველო, ქვემო ქედის სასოფლო საბჭოს მმართველის განყოფილება, დაბადების რეესტრის ჩანაწერი №66). შვილობილის ახალ გვარს დაემატა მისი ყოფილი გვარი ი, რომ ე. ხ-ი მომავალში იქნება ე. ბ-რ-ხ-ი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მორთა ე. ხ-ის წარმომადგენელმა ნ. თ-ამ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 14 ივნისს. ასევე, მხარეები

სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. ე. ხ-ი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სასამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 სექტემბრის განჩინებით მოცემულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა წარმოედგინა ცნობა იმის თაობაზე, რომ გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება არ იყო აღსრულებული გერმანიის ტერიტორიაზე. ე. ხ-ის წარმომადგენელმა ნ. თ-ამ განცხადებით მომართა სასამართლოს და დადგებნილი ხარვეზი სრულად გამოსწორა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ე. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 14 ივნისს, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში (გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მშვილებლები და შვილობილი დაიკითხნენ პირადად). ე. ხ-ი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი

პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მოცემული შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, საკასაციო პალატა მიუთითებს შემდეგზე:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მისი აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერით უდავოდ დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე განმეორებით აღსრულების სავალდებულობა არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამარ-

თლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება რომლითაც ჰ. ბ-რმა (დაბადებული ...წ., გერმანიის მოქალაქე) და უ. ბ-რმა (დაბადებული ...წ., გერმანიის მოქალაქე) შვილად აიყვანეს საქართველოს მოქალაქე ე. ხ-ი (დაბადებული ... წ., ქვემო ქედაში, საქართველო, ქვემო ქედის სასოფლო საბჭოს მმჩის განყოფილება, დაბადების რეესტრის ჩანაწერი №66). შვილობილის ახალ გვარს დაემატა მისი ყოფილი გვარი ი, რომ ე. ხ-ი მომავალში იქნება ე. ბ-რ-ხ-ი.

3. ე. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-2349-შ-55-2013

7 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების  
შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული სა-  
ერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2012  
წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „G. M-E“ LLC (საქარ-  
თველოს რესპუბლიკა, 2000, ქ. ზესტაფონი, ს-ოს ქუჩა, სახლი  
9, სახელმწიფო რეგისტრაციის კოდი ...) შპს „...“ (უკრაინა, 91047,  
ქ. ლუგანსკი, გ-ოს ქ. №39ბ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი  
...) სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის – 28 800,00 აშშ  
დოლარის, საურავის – 3 484,80 აშშ დოლარის, ჯარიმის – 2  
880,00 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 2 647,91  
აშშ დოლარის, სულ – 37 812,71 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მო-  
მართა შპს „...“ წარმომადგენელმა პ. კ-მა და მოითხოვა დასახე-  
ლებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების 9012,71 აშშ დოლა-  
რის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა  
და აღსრულება, ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანო-  
ნიერ ძალაში შესვლის შემდგომ შუამდგომლობის ავტორის მი-  
ერ განეული იურიდიული მომსახურებისა და დოკუმენტების  
მომზადების ხარჯის – 600,64 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვ-  
ნული ლარის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს  
ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის შუამდგომლო-  
ბის ავტორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 448 ლარის  
შპს „ს.მ-ის“ დაკისრება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ ნაწილობ-



რივ ნებაყოფლობით აანაზღაურა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა და დარჩენილი დავალიანება შეადგენს 9012,71 აშშ დოლარს.

შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა შპს „...“ მიერ პ.კ-ის სახელზე გაცემული მინდობილობისა და მის ქართულენოვანი თარგმანის სანოტარო წერით დადასტურებული ასლი, შპს „...“ და პ.კ-ს შორის დადებული ხელშეკრულების ასლი და მომსახურების ღირებულების – 600,64 აშშ დოლარის წარმომადგენლის ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი მტკიცებულება, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების ასლი და მისი სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი, ამავე საარბიტრაჟო სასამართლოს გზავნილი, სადაც დადასტურებულია ის გარემოება, რომ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამო, არ არის გაცემული საალსრულებო ფურცელი, ხოლო არბიტრაჟის ცნობისა და თანდართული გზავნილის ჩაბარების მტკიცებულების ასლების, ასევე გადაწყვეტილების შინაარსის თანახმად, დადასტურებულია ის გარემოება, რომ, გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას, მონინალმდეგე (მოპასუხე) მხარე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის ყველა ეტაპზე, კერძოდ, მას ჩაბარდა: ა) სასარჩელო მასალები, რეგლამენტი და არბიტრთა სია; ბ) მოსარჩელის მიერ დამატებით წარდგენილი მასალები; გ) შეტყობინება საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობის მითითებით და უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის დადგენილება ერთპიროვნული არბიტრის დანიშვნის თაობაზე; დ) საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება. თავად გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა ის გარემოებაც, რომ მიუხედავად მონინალმდეგე (მოპასუხე) მხარის ჯეროვანი ინფორმირებისა, მას საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია. შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა ასევე შპს „...“ წარმომადგენელ პ. კ-ის წერილობითი შეთავაზებები შპს „ჯ. მ-ის“ მიმართ გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მოპასუხე შპს „ჯ. მ-ი“ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია, ამასთან, საქმეს ერთვის ასევე მხარეთა შორის გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმების ას-

ლი და მისი სანოტარო წესით დამონმებული ქართულენოვანი თარგმანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ შუამდგომლობა 9012,71 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

შუამდგომლობის წარმოებაში მიღების შემდგომ, მონინაალმდეგე მხარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადაუხდელობა ნაწილში ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულება დაადასტურა ასევე შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენელმა, მოგვიანებით კი, 2014 წლის 14 თებერვალს, პ. კ-მა განცხადებით მომართა სასამართლოს და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტისა და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონვენციის“ მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით.

დასახელებული ნორმით გათვალისწინებულია კონვენციაზე ხელმომწერი სახელმწიფოს ვალდებულება, საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს კონვენციით დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუმცა ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას გამოიყენება საქმის განმხილველი სასამართლოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო

ნორმები.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „ჯ. მ-მა“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულება ნებაყოფლობით შეასრულა, შესაბამისად, შუამდგომლობის ავტორის – შპს „...“ წარმომადგენელმა პ. კ-მა განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

საკასაციო პალატა შუამდგომლობის ავტორის უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების შესწავლით მიდის დასკვნამდე, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, რადგანაც შუამდგომლობის ავტორი უარს ამბობს მის მოთხოვნაზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების მოვალის მიერ ნებაყოფლობით შესრულების გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად განაცხადოს უარი თავის მოთხოვნაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. კ-ის მოთხოვნა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოს მთავარ სხდომამდე უარი თქვა შუამდგომლობაზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, საკასაციო პალატა თვლის, რომ

შპს „...“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს 2013 წლის 12 ივლისს პ. კ-ის მიერ №306826082 საგადახდო დავალე-ბით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 448 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „უცხოეთის სა-არბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონ-ვენციის“ მე-3 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ წარმომადგენელ პ. კ-ის შუამდგომლობა დაკმაყო-ფილდეს.

2. შეწყდეს წარმოება საქმეზე შპს „...“ შუამდგომლობის გა-მო, შპს „ჯ. მ-ის“ მიმართ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პა-ლატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტ-რაჟო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილე-ბის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შე-სახეზე.

3. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვე-ტის გამო სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

4. შპს „...“ (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სა-ხელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარი-შის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს 2013 წლის 12 ივლისს პ. კ-ის მიერ №306826082 საგადახდო დავალე-ბით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 448 ლარი..

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-3307-შ-87-2013

13 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №14/172-11) შპს „პ-ვ-ას“ (რეგისტრაციის ადგილი: 0159, საქართველოს რესპუბლიკა, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ა-ის ქუჩისა და საქართველოს სამხედრო გზის გზაჯვარედინი; საიდენტიფიკაციო კოდი საქართველოს რესპუბლიკაში: ...; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი ... სს „ს. ბ-ის“ ცენტრალურ ფილიალში; კოდი – ...; მისამართი: 0105; საქართველოს რესპუბლიკა, პ-ის ქ.3, S: B. 22) შპს „ა-ის“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) სასა-სარგებლოდ დაეკისრა 49778 აშშ დოლარისა და 77 ცენტის (ძირითადი ვალის) გადახდა.

შპს „ა-მა“, წარმომადგენელ ა. კ-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება დასახელებულ ნაწილში.

2013 წლის 4 დეკემბერს, შპს „პ-ვ-ამ“ უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება შპს „ა-ის“ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ საპირისპირო მოთხოვნა შუამდგომლობის ავტორის მიმართ, კერძოდ, შპს „ა-მს“ მოპასუხეს მისცა წერილობითი გარანტია, რომ მის მიერ შესაბამისი გადახდის გრაფიკის დაცვის შემთხვევაში, მოპასუხეს არ უჩივლებდა საქართველოს უფლებამოსილ ორგანოში. ამასთან, თავად მოპასუხის (შპს „პ-ვ-ას“) მიერ თავისი ვალდებულების შესრულება დაკავშირებული იყო შუამდგომლობის ავ-

ტორის (შპს „ა-ის“) მხრიდან საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე. მითითებული გარემოების დასადასტურებლად ავტორმა მოსაზრებას თან დაურთო შპს „ა-ის“ 7.11.2012წ. საგარანტიო წერილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შპს „ა-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №14/172-11) შპს „პ-ვ-ას“ (რეგისტრაციის ადგილი: 0159, საქართველოს რესპუბლიკა, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ა-ის ქუჩისა და საქართველოს სამხედრო გზის გზაჯვარედინი; საიდენტიფიკაციო კოდი საქართველოს რესპუბლიკაში: ...; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი ... სს „ს. ბ-ის“ ცენტრალურ ფილიალში; კოდი – ...; მისამართი: 0105; საქართველოს რესპუბლიკა, პ-ის ქ. №3, S: B. 22) შპს „ა-ის“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) სასასარგებლოდ დაეკისრა 49778 აშშ დოლარი-სა და 77 ცენტის (ძირითადი ვალის) გადახდა.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 3 დეკემბერს. ამასთან, იგი აღსასრულებლად არ მიქცეულა – 2013 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით მასზე იძულებითი აღსრულების შესახებ ბრძანება არ გაცემულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №14/172-11), მოთხოვნილ ნაწილში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №14/172-11) იმ ნაწილში, რომლითაც შპს „პ-ვ-ას“ (რეგისტრაციის ადგილი: 0159, საქართველოს რესპუბლიკა, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ა-ის ქუჩისა და საქართველოს სამხედრო გზის გზაჯვარედინი; საიდენტიფიკაციო კოდი საქართველოს რესპუბლიკაში: ...; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი ... სს „ს. ბ-ის“ ცენტრალურ ფილიალში; კოდი – ...; მისამართი: 0105; საქართველოს რესპუბლიკა, პ-ის ქ. №3, S: B. 22) შპს „ა-ის“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) სასასარგებლოდ დაეკისრა 49778 აშშ დოლარისა და 77 ცენტის (ძირითადი ვალის) გადახდა.

მოპასუხე შპს „პ-ვ-ას“ მოსაზრებაში მითითებულ გარემოებებთან მიმართებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასახელებული გვარემოებები არ წარმოადგენენ უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებებს, რამდენადაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად, რა დროსაც ამონიშნავს დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან შუამდგომლობის ფორმალურ შესაბამისობას. შესაბამისად, მოპასუხის მოსაზრებაში მოყვანილი გარემოებები, ვერ გახდება მოცემული განჩინების მსჯელობის საგანი და ვერ განაპირობებს შპს „ა-ის“ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის მიზანშეწონილება, ამიტომ მოპასუხის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „პ-ვ-ას“ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ა-ის“ შუამდგომლობა უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების (საქმე №14/172-11) ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;
3. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №14/172-11) იმ ნაწილში, რომლითაც შპს „პ-ვ-ას“ (რეგისტრაციის ადგილი: 0159, საქართველოს რესპუბლიკა, ქ.თბილისი, გლდანინაძელაძევის რაიონი, ა-ის ქუჩისა და საქართველოს სამხედრო გზის გზაჯვარედინი; საიდენტიფიკაციო კოდი საქართველოს რესპუბლიკაში: ...; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი ... სს „ს. ბ-ის“ ცენტრალურ ფილიალში; კოდი ...; მისამართი: 0105; საქართველოს რესპუბლიკა, პ-ის ქ. №3, S: B. 22) შპს „ა-ის“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) სასასარგებლოდ დაეკისრა 49778 აშშ დოლარისა და 77 ცენტის (ძირითადი ვალის) გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-788-შ-21-2014

7 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** შვილად აყვანა

### აღწერილობითი ნაწილი:

სენტ-ვითინის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მეორე სა-  
მოქალაქო პალატის 2013 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილე-  
ბით შ. ფ-ის (დაბადებული ... წლის ... აპრილს) განცხადება სა-  
ქართველოს მოქალაქე ე. ჩ-ის (დაბადებული ... წლის ... მაისს)  
შვილად აყვანის თაობაზე მიჩნეულ იქნა კანონის შესაბამისად  
და შვილობილის გვარი განისაზღვრა ფ-ჩ-ით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მო-  
მართა ე. ჩ-ის წარმომადგენელმა მ. ჩ-მა და მოითხოვა დასახე-  
ლებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნო-  
ბა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით  
დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილებისა და მისი სანო-  
ტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის შეს-  
წავლით ირკვევა, რომ სასამართლო სხდომა გაიმართა 2013 წლის  
23 მაისს, საქმე განხილულ იქნა ამავე წლის 27 ივნისს. საქმის  
განხილვაში მონაწილეობდნენ მხარეები, დასტურდება ასევე,  
რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე  
ცნობასაც მხარე მოითხოვს, 2013 წლის 29 აგვისტოს შევიდა  
კანონიერ ძალაში.

თავის მხრივ, საქმის მასალებით დადასტურებულია შუამ-  
დგომლობაში მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს  
ტერიტორიაზე ცნობის იურიდიული ინტერესი – შვილად აყვა-  
ნილი ე. ჩ-ი საქართველოს მოქალაქეა, სენტ-ვითინის მაღალი  
ინსტანციის სასამართლოს მეორე სამოქალაქო პალატის 2013

წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით ცვლილებები შედის საქართველოს მოქალაქის საიდენტიფიკაციო მონაცემებში, რაც საჭიროებს მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამის რეგისტრაციას. შუამდგომლობის თანახმად, სამოქალაქო რეესტრის ზეპირი განმარტებით, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისათვის საჭიროა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მარტის განჩინებით ე. ჩ-ის შუამდგომლობა სენტ-ეტიენის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მეორე სამოქალაქო პალატის 2013 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. ჩ-ის წარმომადგენელ მ. ჩ-ის შუამდგომლობა სენტ-ეტიენის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მეორე სამოქალაქო პალატის 2013 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სენტ-ეტიენის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მეორე სამოქალაქო პალატის 2013 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით შ. ფ-ის (დაბადებული ... წლის ... აპრილს) განცხადება საქართველოს მოქალაქე ე. ჩ-ის (დაბადებული ... წლის ... მაისს) შვილად აყვანის თაობაზე მიჩნეულ იქნა კანონის შესაბამისად და შვილობილის გვარი განისაზღვრა ფ-ჩ-ით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მართა ე. ჩ-ის წარმომადგენელმა მ. ჩ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილებისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით ირკვევა, რომ სასამართლო სხდომა გაიმართა 2013 წლის 23 მაისს, საქმე განხილულ იქნა ამავე წლის 27 ივნისს. საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ მხარეები, დასტურდება ასევე, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, 2013 წლის 29 აგვისტოს შევიდა

კანონიერ ძალაში.

თავის მხრივ, საქმის მასალებით დადასტურებულია შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის იურიდიული ინტერესი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, სენტ-ეტიე-

ნის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მეორე სამოქალაქო პალატის 2013 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ჩ-ის წარმომადგენელ მ. ჩ-ის შუამდგომლობა სენტ-ეტიენის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მეორე სამოქალაქო პალატის 2013 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე სენტ-ეტიენის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მეორე სამოქალაქო პალატის 2013 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც შ. ფ-ის (დაბადებული ... წლის ... აპრილს) განცხადება საქართველოს მოქალაქე ე. ჩ-ის (დაბადებული ... წლის ... მაისს) შვილად აყვანის თაობაზე მიჩნეულ იქნა კანონის შესაბამისად და შვილობილის გვარი განისაზღვრა ფ-ჩ-ით.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1269-შ-35-2014

13 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ.აისლენგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენით 2006 წლის 12 ოქტომბერს დანიის ქალაქ ტონდერის მმარის ბიუროში (5471/2006 ნომერით) რეგისტრირებული მ. ვ-სა და პ- ნ. ბ-ის ოჯახური კავშირი ჩაითვალა გაყრილად, განაჩენით მხარეთა შორის ფინანსური ანგარიშსწორება არ შემდგარა, ხოლო საპროცესო ხარჯები განაწილდა თანაბრად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ვ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო განაჩენის თანახმად, ის კანონიერ ძალაშია შესული, თავად განაჩენით, ასევე შუამდგომლობის ავტორის პირადობის მონმობის ასლის თანახმად, მ. ვ-ი საქართველოს მოქალაქეა, ირკვევა ასევე, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე და მან თანხმობა განაცხადა განქორწინების განაცხადზე, ხოლო მხარის განმარტებითვე დასტურდება, რომ განაჩენი, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, აღსრულებულია, ამასთანავე, მ. ვ-მა მიუთითა შუამდგომლობის აღძვრის იურიდიულ ინტერესზე – განქორწინების საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის განჩინებით მ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.აისლენგენის პირველი ინსტანციის სა-

სამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.აისლბენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ქ.აისლბენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენით 2006 წლის 12 ოქტომბერს დანიის ქალაქ ტონდერის მმარის ბიუროში (5471/2006 ნომერით) რეგისტრირებული მ. ვ-სა და ჰ- ნ. ბ-ის ოჯახური კავშირი ჩაითვალა გაყრილად, განაჩენით მხარეთა შორის ფინანსური ანგარიშსწორება არ შემდგარა, ხოლო საპროცესო ხარჯები განაწილდა თანაბრად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ვ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო განაჩენის თანახმად, ის კანონიერ ძალაშია შესული, თავად განაჩენით, ასევე შუამდგომლობის ავტორის პირადობის მოწმობის ასლის თანახმად, მ. ვ-ი საქართველოს მოქალაქეა, ირკვევა ასევე, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე და მან თანხმობა განაცხადა განქორწინების განაცხადზე, ხოლო მხარის განმარტებითვე დასტურდება, რომ განაჩენი, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, აღსრულებულია, ამასთანავე, მ. ვ-მა მიუთითა შუამდგომლობის აღძვრის იურიდიულ ინტერესზეც – განქორწინების საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევა-

ში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადანყვევტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადანყვევტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვევტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვევტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადანყვევტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადანყვევტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადანყვევტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ქ.აისლენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.აისლენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილ-

დეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ქ.აისლენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენი, რომლითაც 2006 წლის 12 ოქტომბერს დანიის ქალაქ ტონდერის მმჩის ბიუროში (5471/2006 ნომერით) რეგისტრირებული მ. ვ-სა და ჰ- ნ. ბ-ის ოჯახური კავშირი ჩაითვა ვალა გაყრილად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-1045-შ-27-2014

14 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას მეორე საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით სამსუნის გუბერნია, ბ-ას რაიონი, გ-ის უბანი, ტომი 58, რიგი 35 საოჯახო რიგ 189-ში რეგისტრირებული თ. და ი. შვილი ... წელს დაბადებული ს. უ-ი და საქართველოს მოქალაქე მ. მ-ა განქორწინდნენ.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მ. მ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 28 თებერვალს და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქ-



მის განხილვის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალების და თვლის, რომ მ. მ-ას შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის გაზიოს-მანფაშას მეორე საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას მეორე საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით სამსუნის გუბერნია, ბ-ას რაიონი, გ-ის უბანი, ტომი 58, რიგი 35 საოჯახო რიგ 189-ში რეგისტრირებული თ. და ი.შვილი ... წელს დაბადებული ს. უ-ი და საქართველოს მოქალაქე მ. მ-ა განქორწინდნენ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას მეორე საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. მ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას მეორე საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც სამსუნის გუბერნია, ბ-ს რაიონი, გ-ის უბანი, ტომი 58, რიგი 35 საოჯახო რიგ 189-ში რეგისტრირებული თ. და ი. შვილი ... წელს დაბადებული ს. უ-ი და საქართველოს მოქალაქე მ. მ-ა განქორწინდნენ;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-3587-შ-95-2013

15 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საფრანგეთის რესპუბლიკის ბელფორის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ა. ასულ ტ-ს (მეუღლის გვარი მ-ი), დაბადებულს ... წლის ... თებერვალს თბილისში (სსრკ – საქართველო) და შ. ა.ძე მ-ს, დაბადებულს ... წლის ... მაისს თბილისში (სსრკ – საქართველო) შორის რეგისტრირებული ქორწინება ორივე მხარის მიზეზით შეწყდა განქორწინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. მ-ის წარმომადგენელმა თ. ბ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ნოემბრის განჩინებით ი. მ-ის წარმო-

მადგენელ თ. ბ-ს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან ორი დღის ვადაში დაეზუსტებინა მოთხოვნა და მიეთითებინა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას ითხოვდა თუ აღსრულებას. შუამდგომლობის ავტორმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გამოასწორა და მოითხოვა გადაწყვეტილების ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 იანვრის განჩინებით ი. მ-ის შუამდგომლობა საფრანგეთის რესპუბლიკის ბელფორის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. მ-ის შუამდგომლობა საფრანგეთის რესპუბლიკის ბელფორის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საფრანგეთის რესპუბლიკის ბელფორის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ა. ასულ ტ-ს (მეუღლის გვარი მ-ი), დაბადებულს ... წლის ... თებერვალს თბილისში (სსრკ – საქართველო) და შ. ა. ძე მ-ს, დაბადებულს ... წლის ... მაისს თბილისში (სსრკ – საქართველო) შორის რეგისტრირებული ქორწინება ორივე მხარის მიზეზით შეწყდა განქორწინებით.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ

მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

საფრანგეთის რესპუბლიკის ბელფორის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. მ-ის შუამდგომლობა საფრანგეთის რესპუბლიკის ბელფორის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს საფრანგეთის რესპუბლიკის ბელფორის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ა. ასულ ტ-ს (მეუღლის გვარი მ-ი), დაბადებულს ... წლის ... თებერვალს თბილისში (სსრკ – საქართველო) და შ. ა. ძე მ-ს, დაბადებულს ... წლის ... მაისს თბილისში (სსრკ – საქართველო) შორის რეგისტრირებული ქორწინება ორივე მხარის მიზეზით შეწყდა განქორწინებით.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანრინება**

№ა-1176-შ-31-2014

16 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის ქ. კიევის გოლოსიივსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. ა. ძე დ-სა და ნ. დ-ეს შორის 2008 წლის 11 სექტემბრის ქ. კიევის ქორწინების რეგისტრაციის ცენტრალური განყოფილების მიერ №2864 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. დ-ემ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული 06.03.2012 წლიდან და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. დ-ის შუამდგომლობა უკრაინის ქ. კიევის გოლოსიივსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ქ. კიევის გოლოსიივსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. ა. ძე დ-სა და ნ. დ-ეს შორის

2008 წლის 11 სექტემბრის ქ. კიევის ქორწინების რეგისტრაციის ცენტრალური განყოფილების მიერ №2864 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, უკრაინის ქ. კიევის გოლოსიივსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. დ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. უკრაინის ქ. კიევის გოლოსიივსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ა. ა. ძე დ-სა და ნ. დ-ეს შორის 2008 წლის 11 სექტემბრის ქ. კიევის ქორწინების რეგისტრაციის ცენტრალური განყოფილების მიერ №2864 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, ცნობილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2985-შ-76-2013

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის აახენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით ს. ე-სა და ი. ე-ას შორის 2009 წლის 21 აგვისტოს დიდუბე-ჩუღურეთის მმჩის ბი-უროს გამგის მიერ რეგისტრირებული ქორწინება №02200930417 შეწყდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. ე-ამ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით ი. ე-ას შუამდგომლობა გერმანიის აახენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ე-ას შუამდგომლობა გერმანიის აახენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის აახენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით ს. ე-სა და ი. ე-ას შორის 2009 წლის 21 აგვისტოს დიდუბე-ჩუღურეთის მმჩის ბი-

უროს გამგის მიერ რეგისტრირებული ქორწინება №02200930417 შეწყდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 1 მარტს. ს. ე-ის განცხადება განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია ი. ე-ას, მაგრამ მან სასამართლოს წარუდგინა წერილობითი განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ არ არის განქორწინების წინააღმდეგი. შუამდგომლობის ავტორის განცხადებით აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიაში. ი. ე-ა არის საქართველოს მოქალაქე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის აახენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა ა ზ ბ ი ნ ა:**

1. ი. ე-ას შუამდგომლობა გერმანიის აახენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.



2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის აახენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ე-სა და ი. ე-ას შორის 2009 წლის 21 აგვისტოს დიდუბე-ჩუღურეთის მმარჩის ბიუროს გამგის მიერ რეგისტრირებული ქორწინება №02200930417 შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-3100-შ-82-2013

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ბრაისგაუს ფრაიბურგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით 1996 წლის 16 ნოემბერს თბილისში რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №1481) ა. ა-სა და ნ. ქ-ს შორის შეწყდა. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა ... წლის ... აგვისტოს დაბადებული მ. ა-ის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ნ. ქ-მა და მოითხოვა განქორწინების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ნ. ქ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბრაისგაუს ფრაიბურგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილების საქარ-

თველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარ-  
მოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. ქ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბრაისგაუს ფრაიბურგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტი-  
ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძ-  
ვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ბრაისგაუს ფრაიბურგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით 1996 წლის 16 ნოემ-  
ბერს თბილისში რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რე-  
გისტრაციის №1481) ა. ა-სა და ნ. ქ-ს შორის შეწყდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენ-  
ტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ  
ძალაშია შესული 2011 წლის 16 სექტემბრიდან. მხარეები სათა-  
ნადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე  
და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. შუამდგომლობის ავ-  
ტორის განცხადებით აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულე-  
ბულია გერმანიაში. მოსარჩელეც და მოპასუხეც არიან საქარ-  
თველოს მოქალაქეები.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს  
კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის  
სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს სა-  
ქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი  
პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კა-  
ნონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარ-  
და იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2,  
მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ  
მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული  
დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ბრაისგაუს ფრაიბურგის რაიონული სასამართლოს  
2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზე-  
ნაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა  
იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო  
კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხ-

ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ქ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბრაისგაუს ფრაიბურგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის ბრაისგაუს ფრაიბურგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც 1996 წლის 16 ნოემბერს თბილისში რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №1481) ა. ა-სა და ნ. ქ-ს შორის შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-2828-შ-67-2013

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ეტლინგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ე. რ-სა და კ. ფ. რ-ს შორის 2004 წლის 1 ოქტომბერს კარლსბადის მმანის ბიუროს გამგის მიერ რეგისტრირებული №38/2004 ქორწინება გაუქმდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მო-

მართა ე. რ-ის წარმომადგენელმა ა. ჟ-ამ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ე. რ-ის შუამდგომლობა გერმანიის ეტლინგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. რ-ის შუამდგომლობა გერმანიის ეტლინგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ეტლინგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ე. რ-სა და კ. ფ. რ-ს შორის 2004 წლის 1 ოქტომბერს კარლსბადის მმაჩის ბიუროს გამგის მიერ რეგისტრირებული №38/2004 ქორწინება გაუქმდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 5 ივნისიდან. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. შუამდგომლობის ავტორის განცხადებით აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიაში. ე. რ-ი არის საქართველოს მოქალაქე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ეტლინგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. რ-ის შუამდგომლობა გერმანიის ეტლინგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის ეტლინგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც ე. რ-სა და კ. ფ. რ-ს შორის 2004 წლის 1 ოქტომბერს კარლსბადის მმარის ბიუროს გამგის მიერ რეგისტრირებული №38/2004 ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

#### **განჩინება**

№ა-2940-შ-73-2013

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის მაინის გემიუნდენის საუზნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით თ. თ-სა და ს. თ-ეს შორის 2004 წლის 18 მაისს ვიურცბურგის

მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი 163/2004) შეწყდა.

თ. თ-ეს წარმომადგენელმა ნ. გ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის მაინის გემიუნდენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ნოემბრის განჩინებით თ. თ-ეს შუამდგომლობა გერმანიის მაინის გემიუნდენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. თ-ეს შუამდგომლობა გერმანიის მაინის გემიუნდენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის მაინის გემიუნდენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით თ. თ-სა და ს. თ-ეს შორის 2004 წლის 18 მაისს ვიურცბურგის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი 163/2004) შეწყდა. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული 2011 წლის 28 მაისიდან. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2,

მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის მაინის გემიუნდენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. თ-ეს შუამდგომლობა გერმანიის მაინის გემიუნდენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის მაინის გემიუნდენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც თ. თ-სა და ს. თ-ეს შორის 2004 წლის 18 მაისს ვიურცბურგის მმარჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი 163/2004) შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-26-შ-1-2014

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

თურქეთის რესპუბლიკის ქ. ადანას საოჯახო საქმეების სა-  
სამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ადა-  
ნის პროვინცია, ჯაეჰანის ოლქი, სოფელი თ-ი 440 სახლი, მო-  
სახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ რეგისტრირებუ-  
ლი ა. ა-სა და ჰ. ვაჟი ... წელს დაბადებული ... პირადი ნომრის  
მქონე მოსარჩელე ი. ბ. ქ-თ და საქართველოს მოსახლეობის რე-  
გისტრაციის სამსახურის მიერ რეგისტრირებული, საქართვე-  
ლოს მოქალაქე ო. ბ-ი თურქეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კო-  
დექსის 166/1 მუხლის თანახმად განქორწინდნენ.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მო-  
მართა ო. ბ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით ო. ბ-ის შუამ-  
დგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ. ადანას საოჯახო საქ-  
მეების სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტი-  
ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებუ-  
ლი იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის,  
რომ ო. ბ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ. ადა-  
ნას საოჯახო საქმეების სასამართლოს 2012 წლის 28 თებერ-  
ვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის



შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თურქეთის რესპუბლიკის ქ. ადანას საოჯახო საქმეების სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ადანის პროვინცია, ჯავჰანის ოლქი, სოფელი თ-ი 440 სახლი, მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ა. ა-სა და ჰ. ვაჟი ... წელს დაბადებული ... პირადი ნომრის მქონე მოსარჩელე ი. ბ. ქ-თ და საქართველოს მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ რეგისტრირებული, საქართველოს მოქალაქე ო. ბ-ი თურქეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 166/1 მუხლის თანახმად განქორწინდნენ.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. შუამდგომლობის ავტორის განცხადებით აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია თურქეთის რესპუბლიკაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

თურქეთის რესპუბლიკის ქ. ადანას საოჯახო საქმეების სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ო. ბ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ. ადანას საოჯახო საქმეების სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს თურქეთის რესპუბლიკის ქ. ადანას საოჯახო საქმეების სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც ადანის პროვინცია, ჯაეჰანის ოლქი, სოფელი თ-ი 440 სახლი, მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ა. ა-სა და ჰ. ვაჟი ... წელს დაბადებული ... პირადი ნომრის მქონე მოსარჩელე ი. ბ. ქ-თ და საქართველოს მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ რეგისტრირებული, საქართველოს მოქალაქე ო. ბ-ი თურქეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 166/1 მუხლის თანახმად განქორწინდნენ.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-80-შ-3-2014

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მიუნხენის I ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 ნოემბრის განაჩენით შეწყვეტილი იქნა 15.03.2000 წ. თბილისის/საქართველო მმარის განყოფილების (ქორწინების რეგისტრაციის)

ტრაციის სააქტო ჩანაწერი №310) თანამშრომლის მიერ მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ვ. ყ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებით ვ. ყ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის I ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ვ. ყ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის I ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის მიუნხენის I ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 ნოემბრის განაჩენით შეწყვეტილი იქნა 15.03.2000 წ. თბილისის/საქართველო მმარის განყოფილების (ქორწინების რეგისტრაციის სააქტო ჩანაწერი №310) თანამშრომლის მიერ მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული 2005 წლის 15 ნოემბრიდან. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. ვ. ყ-ის განცხადებით აღნიშნული განაჩენი აღსრულებულია გერმანიაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის მიუნხენის I ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის

15 ნოემბრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. ყ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის I ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის მიუნხენის I ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 ნოემბრის განაჩენი, რომლითაც შეწყვეტილი იქნა 15.03.2000 წ. თბილისის/საქართველო მმჩის განყოფილების (ქორწინების რეგისტრაციის სააქტო ჩანაწერი №310) თანამშრომლის მიერ ვ. ყ-სა და გ. პ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-481-შ-14-2014

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის დუსელდორფის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით 23.03.2006 წელს რიბეს (დანია) მმარის ბიუროში თ. ტ-სა და ჯ. ო. ა-ს შორის შემდგარი ქორწინება, სარეგისტრაციო ნომერი რეესტრში 2615/2006, გაუქმდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თ. ტ-ის წარმომადგენელმა ბ. ბ-ემ და მოითხოვა დასახელებული დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინებით თ. ტ-ის შუამდგომლობა გერმანიის დუსელდორფის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკვსაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ტ-ის შუამდგომლობა გერმანიის დუსელდორფის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის დუსელდორფის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით 23.03.2006 წელს რიბეს (დანია) მმარის ბიუროში თ. ტ-სა და ჯ. ო. ა-ს შორის შემ-

დგარი ქორწინება, სარეგისტრაციო ნომერი რეესტრში 2615/2006, გაუქმდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ დადგენილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული 2013 წლის 4 დეკემბრიდან. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით აღნიშნული დადგენილება აღსრულებულია გერმანიაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის დუსელდორფის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის დადგენილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. ტ-ის შუამდგომლობა გერმანიის დუსელდორფის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის დუსელდორფის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც 23.03.2006 წელს რიბეს (დანია) მმარის ბიუროში თ. ტ-სა და ჯ. ო. ა-ს შორის შემდგა-

რი ქორწინება, სარეგისტრაციო ნომერი რეესტრში 2615/2006, გაუქმდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-119-შ-4-2014

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ფრაიბურგ იმ ბრაისგაუს საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 10.12.2005 წელს მანჰაიმის მმანის ბიუროს თანამშრომელთა წინაშე დაქორწინებული წყვილი განქორწინდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მართა ნ. შ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებით ნ. შ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბურგ იმ ბრაისგაუს საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. შ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბურგ იმ ბრაისგა-

უს საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ფრაიბურგ იმ ბრაისგაუს საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 10.12.2005 წელს მანჰაიმის მმარის ბიუროს თანამშრომელთა წინაშე დაქორწინებული წყვილი განქორწინდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული 2010 წლის 21 ოქტომბრიდან. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. ნ. შ-ი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ფრაიბურგ იმ ბრაისგაუს საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. შ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბურგ იმ ბრაისგა-



უს საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფრაიბურგ იმ ბრანისგაუს საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 10.12.2005 წელს მანჰაიმის მმარის ბიუროს თანამშრომელთა წინაშე დაქორწინებული წყვილი – ნ. შ-რ (ქორწინებამდელი გვარი ქ-ე) და რ. შ-რ განქორწინდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-4028-შ-106-2013

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის კოლინის ოლქის 429-ე სასამართლო ოლქის 2013 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №429-55334-2012) მოსარჩელე ქ. კ-რი და მოპასუხე მ. დ-ი რ-ი განქორწინდნენ და ქ. კ-რ-ს მიენიჭა შემდეგი სახელი და გვარი: ქ. კ-ე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ქ. კ-რ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით ქ. კ-რ-ის

შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის კოლინის ოლქის 429-ე სასამართლო ოლქის 2013 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №429-55334-2012) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ქ. კ-რ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის კოლინის ოლქის 429-ე სასამართლო ოლქის 2013 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №429-55334-2012) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის კოლინის ოლქის 429-ე სასამართლო ოლქის 2013 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №429-55334-2012) მოსარჩელე ქ. კ-რი და მოპასუხე მ. დ-ი რ-ი განქორწინდნენ და ქ. კ-რ-ს მიენიჭა შემდეგი სახელი და გვარი: ქ. კ-ე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული, რადგან ადგილი არ ქონდა აპელაციის შესახებ განცხადების წარდგენას. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. შუამდგომლობის ავტორის განცხადებით აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია აშშ-ში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის კოლინის ოლქის 429-ე სასამართლო ოლქის 2013 წლის 18 მარტის გა-

დანყვეტილება (საქმე №429-55334-2012) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. კ-რ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის კოლინის ოლქის 429-ე სასამართლო ოლქის 2013 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №429-55334-2012) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის კოლინის ოლქის 429-ე სასამართლო ოლქის 2013 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №429-55334-2012), რომლითაც მოსარჩელე ქ. კ-რ-ი და მოპასუხე მ. დ-ი რ-ი განქორწინდნენ და ქ. კ-რ-ს მიენიჭა შემდეგი სახელი და გვარი: ქ. კ-ე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-1582-შ-34-2013

20 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით 1987 წლის 24 ნოემბერს თბილისში დაქორწინებული მხარეები ურთიერთშეთანხმებით განქორწინდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მხარეებს შორის 2011 წლის 19 დეკემბერს დადებული შეთანხმება, რომელიც შეეხება აღიშენის დაკისრებას, გადასახადების გადახდასა და უძრავი ქონების გაყოფას.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა კ. გ-ამ და მოითხოვა განქორწინების ნაწილში შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, ხოლო ქონების გაყოფის ნაწილში – ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მხარეები დაქორწინდნენ 1987 წლის 24 ნოემბერს საქართველოში, ქ. თბილისში. განქორწინების ნაწილში გადაწყვეტილება აღსრულებულია შვეიცარიის ტერიტორიაზე, რაც დასტურდება შვეიცარიის მოქალაქის პირადობის მოწმობის ჩანაწერით, თავის მხრივ, გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტი მიუთითებს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე, ხოლო კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის სხდომის ოქმის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარე ესწრებოდა საქმის განხილვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით კ. გ-ას შუამდგომლობა განქორწინების ნაწილში შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის, ხოლო ქონების გაყოფის ნაწილში ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ კ. გ-ას შუამდგომლობა განქორწინების ნაწილში შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქონების განკარგვის მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობის ავტორს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით 1987 წლის 24 ნოემბერს თბილისში დაქორწინებული მხარეები ურთიერთშეთანხმებით განქორწინდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მხარეებს შორის 2011 წლის 19 დეკემბერს დადებული შეთანხმება, რომელიც შეეხება აღიმენტის დაკისრებას, გადასახადების გადახდასა და უძრავი ქონების გაყოფას.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა კ. გ-ამ და მოითხოვა განქორწინების ნაწილში შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, ხოლო ქონების გაყოფის ნაწილში – ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ: ა) მხარეები დაქორწინდნენ 1987 წლის 24 ნოემბერს საქართველოში, ქ.თბილისში; ბ) განქორწინების ნაწილში გადაწყვეტილება აღსრულებულია შვეიცარიის ტერიტორიაზე; გ) გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში; დ) მონინალმდევე მხარე საქმის განხილვის თაობაზე სათანადოდ იყო ინფორმირებული.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები განქორწინების ნაწილში გადაწყვეტილების ცნობისათვის არ არსებობს.

რაც შეეხება კ. გ-ას შუამდგომლობას მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყოფის ნაწილში შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს:

შუამდგომლობის ავტორი ითხოვს საქართველოში, ქ.თბილისში, მ-ის ქ. №4-ში მდებარე უძრავი ქონების მეუღლეთა შორის გაყოფის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია. ამავე კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო 68-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება,

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ისეთი კატეგორიის დავებზე, რომლებიც განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა ვერ მოხდება, რადგან ისინი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს მხოლოდ საქართველოს სა-

სამართლოების მიერ.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უძრავი ქონება საქართველოს ტერიტორიაზეა, არ არსებობს ქონების გაყოფის ნაწილში შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ცნობის წინაპირობები. ასევე არ არსებობს მითითებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე მიქცევის საფუძველიც, ვინაიდან „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აღსასრულებლად უცხო ქვეყნის გადანაცვეტილების მიქცევის ერთ-ერთი წინაპირობაა იმის დადგენა, უცხო ქვეყნის გადანაცვეტილება შეესაბამება თუ არა ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ დათქმებს, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. კ. გ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. კ. გ-ას და ნ. გ-ას განქორწინების ნაწილში შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.
3. კ. გ-ას შუამდგომლობა ქ.თბილისში, მ-ის ქ.№4-ში მდებარე უძრავი ქონების გაყოფის ნაწილში შვეიცარიის კანტონის ბაზელ-შტადტის სამოქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანრინება**

№ა-1376-შ-44-2014

21 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

საფრანგეთის სტრასბურგის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით ფ. კ-ი და ა. გ-ი (მეუღლის გვარი კ-ი) განქორწინდნენ, რომელთა ქორწინება რეგისტრირებული იყო საქართველოში 2009 წლის 19 თებერვალს, ხოლო ჩანაწერი შესრულებული იყო ქ.თბილისში, საფრანგეთის საელჩოში 2009 წლის 20 თებერვალს, განისაზღვრა ქონების ლიკვიდაცია 2009 წლის 21 სექტემბრიდან, ასევე დადგინდა მშობელთა უფლებები ... წლის ... აგვისტოს დაბადებული შვილის – ჟა. გ-ის მიმართ და ბავშვის საცხოვრებლად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების თაობაზე ა. გ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ფ. კ-ის წარმომადგენელმა გ. ვ-ამ და მოითხოვა განქორწინების თაობაზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა იმ საფუძველით, რომ განქორწინების ფაქტის რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობის გარეშე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ საქმის განხილვის თაობაზე მხარეები ინფორმირებული იყვნენ, ქორწინების აქტის აპოსტილით დამონმებული ასლის თანახმად კი, გადაწყვეტილება აღსრულებულია საფრანგეთის ტერიტო-



რიაზე, ასევე ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით ფ. კ-ის შუამდგომლობა საფრანგეთის სტრასბურგის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ფ. კ-ის შუამდგომლობა საფრანგეთის სტრასბურგის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საფრანგეთის სტრასბურგის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით ფ. კ-ი და ა. გ-ი (მეუღლის გვარი კ-ი) განქორწინდნენ, რომელთა ქორწინება რეგისტრირებული იყო საქართველოში 2009 წლის 19 თებერვალს, ხოლო ჩანაწერი შესრულებული იყო ქ.თბილისში, საფრანგეთის საელჩოში 2009 წლის 20 თებერვალს, განისაზღვრა ქონების ლიკვიდაცია 2009 წლის 21 სექტემბრიდან, ასევე დადგინდა მშობელთა უფლებები ... წლის ... აგვისტოს დაბადებული შვილის – ჟ. გ-ის მიმართ და ბავშვის საცხოვრებლად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების თაობაზე ა. გ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ფ. კ-ის წარმომადგენელმა გ. ვ-ამ და მოითხოვა განქორწინების თაობაზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა იმ საფუძვლით, რომ განქორწინების ფაქტის რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობის გარეშე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ საქმის განხილვის თაობაზე მხარეები ინფორმირებული იყვნენ, ქორწინების აქტის აპოსტილით დამოწმებული ასლის თანახმად კი, გადაწყვეტილება აღსრულებულია საფრანგეთის ტერიტო-

რიაზე, ასევე ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, საფრანგეთის სტრასბურგის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სა მოქალაქე პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილე-

ბა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ფ. კ-ის შუამდგომლობა საფრანგეთის სტრასბურგის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საფრანგეთის სტრასბურგის მაღალი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. კ-ი და ა. გ-ი (მეუღლის გვარი კ-ი) განქორწინდნენ.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანჩინება**

№ა-1362-შ-41-2014

3 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის აჰაუზის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის განაჩენით მოსარჩელე ქ. ც-ს მოთხოვნა ვრედენის მმარის ბიუროს გამგის წინაშე ქ. ც-სა და რ. დ-ს შორის 2001 წლის 23 იანვარს რეგისტრირებული №13/01 ქორწინების გაუქმების თაობაზე მიჩნეულ იქნა კანონიერად, ასევე გაუქმდა საპროცესო ხარჯები მხარეთა შორის, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფაზე მათ უარი განაცხადეს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ქ. ც-მ და მოითხოვა განქორწინების თაობაზე ზემოაღნიშნული განაჩენის (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა იმ მიზნით, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნაზე უარი განუცხადა ვიდრე ზემოაღნიშნული განაჩენი (გადაწყვეტილება) არ იქნება ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონებული სასამართლო განაჩენის შესწავლით დასტურდება, რომ იგი კანონიერ ძალაშია შესული 2005 წლის 16 მარტიდან, ირკვევა, რომ მოპასუხე რ. დ-ი ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, ამასთანავე, შუამდგომლობის ავტორმა წერილობით დაადასტურა განაჩენის გერმანიის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი, ხოლო თავად განაჩენით, ასევე შუამდგომლობაზე დართული ქ. ც-ს პირადობის მოწმობის ასლით უდავოდ დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით ქ. ც-ს შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ქ. ც-ს შუამდგომლობა გერმანიის აჰაუზის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის განაჩენის (გადანყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის აჰაუზის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის განაჩენით მოსარჩელე ქ. ც-ს მოთხოვნა ვრედენის მმარის ბიუროს გამგის წინაშე ქ. ც-სა და რ. დ-ს შორის 2001 წლის 23 იანვარს რეგისტრირებული №13/01 ქორწინების გაუქმების თაობაზე მიჩნეულ იქნა კანონიერად, ასევე გაუქმდა საპროცესო ხარჯები მხარეთა შორის, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფაზე მათ უარი განაცხადეს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ქ. ც-მ და მოითხოვა განქორწინების თაობაზე ზემოაღნიშნული განაჩენის (გადანყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა იმ მიზნით, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნაზე უარი განუცხადა ვიდრე ზემოაღნიშნული განაჩენი (გადანყვეტილება) არ იქნება ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონებული სასამართლო განაჩენის შესწავლით დასტურდება, რომ იგი კანონიერ ძალაშია შესული 2005 წლის 16 მარტიდან, ირკვევა, რომ მოპასუხე რ. დ-ი ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, ამასთანავე, შუამდგომლობის ავტორმა წერილობით დაადასტურა განაჩენის გერმანიის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი, ხოლო თავად განაჩენით, ასევე შუამდგომლობაზე დართული ქ. ც-ს პირადობის მოწმობის ასლით უდავოდ დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების

ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოცხების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის აჰაუზის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის განაჩენი (გადაწყვეტილება) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ქ. ც-ს შუამდგომლობა გერმანიის აჰაუზის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის განაჩენის (გადანყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის აჰაუზის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის განაჩენი (გადანყვეტილება), რომლითაც მოსარჩელე ქ. ც-ს მოთხოვნა ვრედენის მმაჩის ბიუროს გამგის წინაშე ქ. ც-სა და რ. დ-ს შორის 2001 წლის 23 იანვარს რეგისტრირებული №13/01 ქორწინების გაუქმების თაობაზე მიჩნეულ იქნა კანონიერად, ასევე გაუქმდა საპროცესო ხარჯები მხარეთა შორის, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფაზე მათ უარი განაცხადეს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-1492-შ-47-2014

30 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ-ა ა. ნ. გ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. ჰ-ს 2008 წლის 17 ნოემბერს დაბადებული ქალიშვილის, ჰ-ა ა. მ. გ-სა და 2010 წლის 1 თებერვალს დაბადებული ვაჟის, ჰ-ი მ. მ. ო-ს შე-

ნახვისათვის, ალიმეტის სახით დაეკისრა თვეში 100 მანეთის გადახდა თითოეული ბავშვის სასარგებლოდ 2013 წლის 26 ივლისიდან მათ სრულწლოვანებამდე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ-ა ა. ნ. გ-მ, რომელმაც მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 30 დეკემბერს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა ალიმენტის დაკისრების ნაწილში და მოპასუხე გაფრთხილებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

მ. გ-მა განცხადება შემოიტანა უზენაეს სასამართლოში, მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, ასევე მიუთითა, რომ ქ. ბაქოს წარმომადგომლის რაიონის სასამართლოში საქმის განხილვის თაობაზე გაფრთხილებული არ იყო. მას არ მიუღია წერილობითი შეტყობინება და საქმე მის გარეშე განხილეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი შუამდგომლობა, თანდართული მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ მ-ა ა. ნ. გ-ს შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტების თანახმად გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები ან გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მ. გ-ი არ ესწრებოდა საქმის განხილვას. სასამართლოს ცნობის თანახმად, იგი დროულად გაფრთხილდა საქმის განხილვის თაობაზე. მოპასუხე მ. გ-ი სადავოდ ხდის ამ ფაქტს და მიუთითებს, რომ მას არანაირი შეტყობინება საქმის განხილვის დროის თაობაზე არ მიუღია.

ამ პირობებში სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლოა, ადასტურებდეს მხარის მიერ გზავნილი მიღებას. მტკიცების ტვირთი ეკის-



რება შუამდგომლობის ავტორს. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობაზე დართული გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ „სასამართლომ პასუხისმგებელ მ. ჰ-ს დროისა და ადგილის შესახებ შეტყობინება გაუგზავნა, მაგრამ პასუხისმგებელი არც თვითონ გამოცხადებულა და არც წარმომადგენელი გამოუგზავნია“. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერის თანახმად, არ დასტურდება ის გარემოება, რომ შეტყობინება მოპასუხეს ჩაბარდა. მართალია, ქ. ბაქოს ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს ცნობაში მითითებულია, რომ მ. გ-ი დროულად გაფრთხილდა საქმის განხილვის თაობაზე, მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის უცნობია, რა იგულისხმება გაფრთხილებაში, მხოლოდ გზავნილის გაგზავნა, თუ მისი ადრესატისათვის ჩაბარების დადასტურებაც. საქმეში არსებული სავარაუდოდ საფოსტო შეტყობინების ბარათიდან, რომელზეც სასამართლო მიუთითებს ცნობაში, არ ირკვევა გზავნილი ჩაბარდა თუ არა მ. გ-ს. ბარათზე არ იკითხება არც ერთი სიტყვა და იგი როგორც გზავნილის მიღებას, ისე მის მიუღებლობასაც შეიძლება ადასტურებდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის უცნობია, აზერბაიჯანის კანონმდებლობის შესაბამისად, საკმარისია თუ არა ადრესატისათვის უწყების გაგზავნა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე და ჩაბარების დადასტურების გარეშე ან ჩაუბარებლობის შემთხვევაში, არის თუ არა სასამართლო უფლებამოსილი განიხილოს საქმე მხარის დაუსწრებლად, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც უტყუარად არ დასტურდება, რომ მხარეს ჩაბარდა შეტყობინება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, საქმის განხილვა მოპასუხის დაუსწრებლად ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითადად სამართლებრივ პრინციპებს, კერძოდ კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ძირითად სამართლებრივ პრინციპებსა და გარანტიებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ მ-ა ა. ნ. გ-ს შუამდგომლობა ვერ დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## **დაადგინა:**

1. მ-ა ა. ნ. გ-ს შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკიბელო

|  |  |
|--|--|
| უცხო ქვეყნის სასამართლო<br>გადაწყვეტილების საქართველოს<br>ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ..... | 3; 6; 9; 12; 14; 16; 19;<br>22; 26; 29; 32; 36; 38;<br>42; 44; 46; 49; 52; 55;<br>57; 61; 65; 70; 74; 78;<br>81; 83; 86; 88; 90; 92;<br>94; 97; 99; 102; 104;<br>106; 109; 113; 117; 120 |
|--|--|